ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-15. 15231183**
თარიღი:**28/04/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N2-ში მდებარე შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობისათვის დამზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 06 აპრილის N2164/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქ.ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. N2-ში მდებარე შენობის დემონტაჟისა და სასწრაფო დახმარების შენობის მშენებლობისათვის დამზადებული 150 359,24 (ას ორმოცდაათი ათას სამას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 24 თეთრი) ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, თანახმად დანართისა.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მიღებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი